

# ქართული ქრონიკა

იანვარი,  
1990 წ.  
№-1(58)



# 1990

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

გამოსვლა 1988 წლის 10 მაისიდან



სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH  
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი-5, სიონის ქ. 4, ტელ. 99-69-30 \* 4, SIONI STR. TBILISI-5, USSR. 380005. TEL. 99-69-30

*გულთბილად ვილოყავთ  
ქრისტეს შიშს და ახალ წელს.  
„სწრაფი ქვეყნისთვის, და ქვეყნის-  
თვის“ ვანუთავთვარს ვუფლავთ  
თქვენ (იოანე 8, 32), - ზრთაძე  
ყვარლი.  
ტყევის მკვიდრებისა და სიყვარულისა  
რეჟისორ თქვენ ყოველთა თანა.  
ხვედრად არს ტყევისი.  
+ ილია II*



ახალგაზრდობ, ან კი თქვენ

გამოდით, თქვენი ჭიკიძე!..



პოლიო ბოგაძე


1989 წელი დამოუკიდებელი სა-  
ქართველოს ისტორიაში შიშა, როგ-  
ორც მფუნარების, ჭიკიძისა და  
ეროვნული გამომწვევების წელი...  
9 აპრილის ტრაგედია, ძველი  
და შიდა ქართლის მოვლენებმა, აფ-

ხაზეთში დაფორმება სინსხმა რწი  
დაბანთა თავისუფლებას მოწყობა-  
ული ქართული ერი. წლებში მან-  
ბილბე დალატს, ცილისწამებასა და  
უხადურებას. საქართველო სიმშვი-  
დითა და წინდახელწოდებით კანსხ-  
გა. როგორც იტყვიან, მომხიბვე-  
ის შიშა აივსო... მჯობრა, ამ უმ-  
ბიშესი განსაზღვრის უმსხვერპლ  
სულ-ერთ ხორცად შეიკვრება იგი,  
არ მივცემა სასწრაფოკეთისა და  
კვლავ შეუდრეკლად იბრძობებს უმ-  
ღებგაყრილი ძველების სახელმწიფო-  
ებრიობის აღსაღებნად.

ყველა ქართველს გილოცავთ ახ-  
ალი 1990 წლის შემოგზავნებას.  
ბისუფრებთ გამრავლებას, უფლის  
ჭაბრისკენ შემოგზავნებას, სიბრ-  
ნეს, გაზაფხულს, ვაჟკაცობასა  
და თითოეული ზეგზარბიტი მამულიზ-  
ვილის საწვევარი მოვების აღსრუ-  
ლებას!

მწამს, იხიბებს სამართლიან-  
ობა, ეწინააღმდეგება და საგულგონო მკვლ-  
რებით აღსაღებმა საქართველო!  
ამინ!

## შობა-ახალ წელს გვილოცავან უსუსუსი ეროვნულ-დემოკრატები



ნოა ჩხეიძე

ჩვენი საყვარელი ხალხო!  
ბნელია შეგათ გლოვანა და მწუ-  
ხარებას, მთელი საქართველო რწ  
მინცა.

ბნელია შეგათ მოყვრად მის-  
ული სხემრის დალატს, ზურგში და-

ხვრის ჩაცვებას; ბნელია, მავრამ  
"ბირსა შიგან გაზაფხობა..." ღღის  
ისე საჭირთა ცოცხალი ნერვით და-  
ტოტოვტი ეროვნული მოძრაობის-  
თვის, როგორც რწმენა და სულიერი  
განათლება.

გასულ წელს კიდევ ერთხელ და-  
ვრწმუნდით იმპერიის ზრახვასა და  
პირისსხლიანობაში, გაზრდილებული  
"მოგმებების" სიბრბავე-უგუნურ-  
ბაში...

სასიხარულთა ის მადტი, რწ  
კრებლის ამ ანტიდამიანურ კოლი-  
ტიკას საქართველოს ეროვნული მო-  
ძრაობა თავისი გონიერებითა და  
სათნობით დაუპირისპირდა!

ჩვენი საყვარელი ხალხო!  
გილოცავთ შობა-ახალ წელს. გწამ-  
დეთ, წინდა მარტამ ღმერთისგომ-  
ლის წილხვედრი ივერია მიღწევს  
თავის საწვევარ მიზანს; იმდენად  
სამართლიანია ჩვენი გრძელთა თა-  
ვისუფლებინათვის, რწ შეუძლებ-  
ლია დაგვარებადით! დაგლოცეთ და  
გაგაბლიერეთ ღმერთმა ამ ბნელ,  
მავრამ წმინდამაწმინდა გრძელის  
გზაზე!



ალექსანდრა ჯიქია

ამირებასო თანამებამებულენო!  
შვილენო და შვილიშვილენო!  
გილოცავთ ახალი, 1990 წლის დაღ-  
ვრებას.

გასული წელი მძინე და სინს-  
ღიანი გამორება ქართული ერისათ-

ვის. 9 აპრილს რუსული ჩაძიით  
გათეილთა სულგება გამოაღვიბა  
ქართული ერი, სამართლიანობის  
დასაგვიძვრებლად შეაკავშირა იგი.

ღარწმუნებულნი ვარ, ამ ღმერთ  
კუთხებულ გზაზე, თავისუფლებას  
შეწირულთა სინსხლი უკვალად არ  
გაძრება; ხოლო წელს კიდევ უმ-  
რე გაბლიერება ეროვნული მოძრა-  
ობა, რათა გლოცდებოდეს აღსაღებს  
დაპარბული სახელმწიფოებრიობა!

მიუხედავად სიბერისა, ჰერ-ჰე-  
რწმით შეგწვეს ძალა ვიდგე მძვე-  
ნს გვერდით, რადგან ღღის ეროვ-  
ნული მოძრაობისაგან განზე განღ-  
გომბ სამშრომოს დალატია. ვიბე-  
რწვება, შეგებინსამებარ მოხუცი  
და ახალგაზრდაც მხარდამხარ იბრ-  
ბოლებს ნანატრი მოგაბრისათვის  
და ამ გზაზე არ შეუშინდებია არა-  
ნაირ წინააღმდეგობას.

დაგვალეგებულვარ 1918 წლის 31  
მაისს... თავისუფლებათი შოგილი  
თავისუფლებათი უღდა აღვისრულნი  
იბედი მადტს, მთელს ერთან ერთად  
ვიზიებებ იმპერიის დატეხანა და  
საქართველოს დამოუკიდებლობას!

იქონა საჩივრით

საშობაოდ...

რამდენიმე დღე და საქართველოში მხიარულად აკიფდება სანთლები სამობაოდ ნაძვისხეზე. უჩვეულოდ ღამაზი ამ დროს ყველა და ყველაფერი, ღამაზი და ამალეგებული. პატარების ყრამულიც რაღაც სხვანაირად ედება არემარეს. არასოდეს ამდენი სიბო და სიმკაცრე, ბავშვური უღარდებობა და სიღინჯე არ ყოფილა ქართველი ბავშვის თვალში; ბავშვისა, რომელმაც სულ მოკლე ხანში მთელი ცხოვრება განვლო, რომელმაც საკუთარი თვალთ იხილა დაუფიქრარი ნოემბრის შიმშილობით გამოვლიძებული თავისუფლების სული, რომელმაც ცხოვრებაში პირველად დაინახა და თვითონაც ააფრიალა თავისი სამშობლოს ნამდვილი დროშა, რომელმაც პირველად გაიგონა ხმამაღლა თქმული სიმართლე... რომლის თვალწინ სწორედ ამ დროშის, ამ თავისუფლების, ამ სიმართლის გულისთვის ნორბებით არჩეხ მასზე ოდნავ უფროსი გოგონები და ბიჭები, სიცოცხლე მოუსწრავს მათი დედებივით ღამაზ და მამებივით მამაც ქართველებს; ბავშვისა, რომლის თვალწინ დაუსჯედად, როგორც საკუთარ მიწა-წყალზე, დათარეშობდნენ მკვლელები...

არასოდეს ქართველ მშობელს ისეთი კრძალებითა და სინდისის ქენჯნით არ

უტკერია თავისი მომავლისთვის, როგორც ახლა; მშობელს, რომელმაც მისი შვილების გმირული სიკვდილი იხილა, რომელმაც იგრძნო, რომ თურმე უღრტვიველად, თვალდახუჭული ეწეოდა კაცობრიობის ისტორიაში ჯერანახული სისასტიკის იმპერიის უღელს და ველარ გრძობა და ამ უღელქვეშ მგმინავი საქართველოს ტკივილს, განუკითხავად, წვეთ-წვეთობით რომ იცლებოდა სისხლისაგან; მშობელს, რომელმაც ბოლოს მაინც იმბლავრა თავისუფლების სულმა და რომელმაც აპრილის სისხლიანმა დილამ იოტი-სოდენა შიშვც აღარ დატოვა, რომელსაც ოკუპანტი მკვლელების ბარბაროსობამ კი არ წაართვა, გაუასკეცა თავისუფლების წყურვილი, გაუასკეცა იმედი. ქართველ მშობელს ისევე ძველი, ამაყი ცრემლი დაუბრუნდა, ცრემლი არა შესაბრალისი, არამედ სიბრაზისა და სიხარულის, ცრემლი არა უძღურების, არამედ იმედისა და მომავლის რწმენის.

აპრილის წმინდა სისხლში განზანდილი საქართველო დღეს სატანის ყველაზე საშიში მტერი გახდა, მტერი არა მუქარით, არა იარაღით, არამედ სიმაზრდით, სწორი გზით, ერთიანობით; ამიტომაც მომაკვდავი ურჩხულის პირველი დარტყმა სწორედ მან მიიღო, მიიღო

ღირსეულად, ქრისტიანულად. ჯერ არავის სმენია ცრემლებით და ყვაივლებით ტანკების დამარცხება - საქართველომ ეს გააკეთა; არავის უნახავს თავგაჩხილი შვილის ცხედართან მშობლის იმედიანი, ცრემლითა და რწმენით სავსე უღრეკი თვალები - საქართველოში ასე დაიტირეს თავისუფლებისათვის დაღუპულნი; არავის ჰყოლია ტანკთან ხის უბრალო ჯოხით მეთმარი პატარა ბიჭი - საქართველოში ასეთი ბიჭი ცხოვრობს; არავის უმღერია გადასათვლად წამოსული ტანკის დანახვაზე - საქართველოში მტრის იარაღს ქართული სიმღერა, მართალი სიმღერა შეეგება...

საქართველო ვერასოდეს დაივიწყებს თავისი შვილების უმანკოდ დაღვრილ სისხლს, მას არა აქვს ამის დავიწყების უფლება. იგი ან მიაღწევს იმ მიზანს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ეწირებოდნენ მისთვის თავდადებულნი, ან დაიღუპება. აპრილის ცრემლებს არ შეიშობს დედა-სამშობლო თვალეზე; მკაცრი და გოროზია იგი დღეს, დაქანცული, მაგრამ არა დაუმღურებული. საოცრად მნელი, ალბათ, შეუძლებელიც ყოფილა ქართული სულის გატეხვა, მოღრეკვა, დაჩაგვრა. იოტი-სოდენა ნალველიც არ ჩანს ქართველის თვალეში; ამ თვალეში თუ რაიმემ იმატა, მხოლოდ ბოროტების წმიდათაწმიდა სიძულვილმა, თავისუფლებისაკენ, ღმერთისაკენ სწრაფვის წყურვილმა. პატარებიც მკვლელებთან სიხარულისაგან აცელტებულნი შესცქერიან ბღღვრიალა სა-

შობაოდ ნაძვისხეზე, ათასგვარ ტკბილეულბას, სათამაშოებს და რაღაც იღუმალი, მათთვის ჯერ გაუგებარი კრძალებით აპარებენ თვალს მაცხოვრის ხატისკენ, მათში რაღაც იბადება ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი, მაგრამ ახლობელი და საყვარელი, ის, რაც მათმა წინაპრებმა 16 საუკუნის წინ აღიარეს და დღემდე შეუზღადავად მოიტანეს.

არასოდეს ასე ღამაზი არ ყოფილა საქართველო, როგორც ახლა, ამ შობის წინ - ღამაზი და გაძარცვული, ამაყი და ცრემლიანი, მებრძოლი და მგლოვიარი, თბილი და მკაცრი, უსაზღვროდ მკაცრი...

ცრემლისა და სისხლის წელიწადი იწურება. თორმეტმილიონიანი ერიდან გადარჩენილი ოთხ მილიონამდე ქართველი იმედით შეტყურებს მომავალს. შობა-ღამესაც მომავლის რწმენა დაინთება ყოველი მათგანის გულში. სიმართლისათვის წამებულ ქართველ წმინდანთა დასი, მთელი ზეციური საქართველო აღავლენს ღოცვას ჩვილი იესოსადმი, კრძალებით ემთხვევა დედა-ღვთისმშობლის უწმინდეს კალთას თავისუფლების, ჭეშმარიტების საღიდეგლად. ჩაბნელებული საქართველოს ყოველ ოჯახს კი ძველებური სინათლით მოფენება ქართული სულიდან ამოსული უძველესი სიმღერის ჰანგები: "ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო და...".

დაწერილია "ნიშნულ რევიუს" დაკვეთით

3. მატსიმოვი „დიდი ქართული ზოვინიჭის“ უისახე

გასულ წელს საქართველოში მომხდარმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში.

დასამალი არაა ის ფაქტი, რომ დღეს პოლიტიკურგანტა უმრავლესობაში, ზოგისთვის შეგნებულად და ზოგისთვის შეუგნებლად, დამკვიდრდა უარყოფითი დამოკიდებულება ქართული ეროვნული მოძრაობის მიმართ. ამის ერთ-ერთი გამოვლენა გახდა რუსულენოვან პოლიტიკურიგანტულ გაზეთ "ნოვოე რუსსკოე სლოვოში" (ნიუ-იორკი) ამას წინათ გამოქვეყნებული სტატია სათაურით "დიდი ქართული შოვინიზმის შესახებ", რომლის ავტორია ცნობილი რუსი სამართალდამც-

ველი, ჟურნალ "კონტინენტის" (პარიზი) მთავარი რედაქტორი, მწერალი ვლადიმერ მაქსიმოვი.

სტატია ანტიქართული სულისკვეთებითაა დაწერილი; მისი აქ მთლიანად მოყვანა შეუძლებელი ხდება მიზეზთა გამო, ამიტომ გაგაცნობთ ზოგიერთ ფრაგმენტს ამ სტატიიდან:

"ქართული ეროვნული მოძრაობა სასტიკად თრგუნავს აფხაზთა და ოსთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; ქართველები კატეგორიულად ითხოვენ აფხაზთა და ოსთა ისედაც კულმოკვეცილი ავტონომიური უფლებების გაუქმებას"...

"ქართველი ნაციონალისტები სასტი-

კი წინააღმდეგნი არიან მუსულმანი მესხებისა და თურქული მოღმის ხალხის დაბრუნებისა მათს ისტორიულ სამშობლო-მესხეთ-ჯავახეთში"...

რუსი სამართალდამცველი განსაკუთრებით ალუშფოთებია და ქართველთა საწინააღმდეგოდ განუწყვიტა ბიულეტენი "ვესტი იზ სსსრ"-ში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც მოთხრობილია ქართველი ნაციონალისტების მიერ ამ ზაფხულს სურამში ებრაელთა დარბევის ფაქტი. იგი წერს "და ეს მოხდა საქართველოში, სადაც არასდროს არ ყოფილა ანტისემიტობი; თვით "პამიატიც" კი ჯერ არ მისულა ამ ღონემდე."

ბ-ნი მაქსიმოვი სტატიას ასეთ და-

სკვნას უკეთებს: "მნელია ქართველი ხალხის მეგობარი უცხად გადაიქვე მის მტრად, მაგრამ მე ისევე, როგორც ანდრეი სახაროვი და ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი, ჩემი უდიდესი სურვილისა და მიუხედავად, არ შემიძლია დავრჩე მეგობარი ასეთი ერისა; მიხსენით ამგვარი პატივისაგან!"

საბჭოთა პრესისაგან განსხვავებით "ნოვოე რუსსკოე სლოვოში" რადიო" თავისუფლების" თანამშრომელს, ელპ-ის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარეს ბ-ნ თენგიზ გულაგას საშუალება მისცა ა.წ. 5 იანვარს გამოეკვეყნებინა საპასუხო წერილი; ქვემოთ გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს.

კომუნისტური პოპაგანდის მოკივი მსხვეკაკლი

ბატონი მაქსიმოვის სტატიის თვით სათაურიც კი არის შეურაცხყოფა და უაზრო გამოხდობა ქართველი ერის წინააღმდეგ. ნუთუ მართებულია გამოთქმის - "დიდი ქართული შოვინიზმის" გამოყენება ოთხმილიონიანი დაჩაგრული ერის მიმართ. მტერი იქნები თუ მოყვარე ამა თუ იმ ერისა, ეს ბატონი მაქსიმოვის ნებაა, მაგრამ მას არავითარი უფლება არა აქვს ცილი დასწამოს და შეურაცხყოს სხვა ერი, ხოლო ის, რასაც ბ-ნი მაქსიმოვი წერს ქართველების შესახებ, ცილისწამებაა და სხვა არაფერი.

სურამში არ მომხდარა ებრაელთა არავითარი დარბევა. მოხდა ინციდენტი მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედთა ჯგუფმა სცადა სინაგოგის გაძარცვა. ამგვარი ანტისემიტური მოვლენებით სავსეა რუსეთის ცხოვრება, მაგრამ ამისათვის არავინ ადანაშაულებს რუს ერს და, მითუმეტეს, რუს სამართალდამცველებს.

რაც შეეხება იმათ, ვინც მხარს უჭერს აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" საქართველოსაგან ჩამოშორებას,

დროა შეიგნონ, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ისეთივე ოდინდელი ქართული მიწებია, როგორც ნოვგოროდი რუსეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ის დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო იყო და არ ემორჩილებოდა მოსკოვს. ხოლო ბ-ნი მაქსიმოვისინართა ვარაუდის მიხედვით, თუ საქართველოს გამოსვლა მოხდება კავშირის შემდგენლობიდან მხოლოდ იმ პირობით, რომ აფხაზეთი და "სამხრეთ ოსეთი" ჩამოშორდება მას, ეს ფაქტიურად იგივეა, რაც პატიმარს შესთავაზო, ვთქვათ, ხელ-ფეხის მოკვეთის ფასად ციხიდან განთავისუფლება.


ჩემი ღრმა რწმენით, არანაირი დემოკრატიზმ არ იძლევა ისტორიული ეროვნული სხეულის დანაწევრების უფლებას; ასე რომ საყვედური დემოკრატიის პრინციპების აბურჩად აგდებაზე, რასაც ბ-ნი მაქსიმოვი გამოთქვამს ქართველების მისამართით, სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ცოცხალი ერისაგან ტერიტორიის ჩამოგლეჯა მხოლოდ ომისა და სისხლისღვრის გზითაა შესაძლებელი. მხოლოდ ასე თუ შეიძლება აფხაზეთ-სა-

მაჩაბლოს გამიჯვნა საქართველოსაგან. აფსუათა "აიდგილარა" და ოსთა "აღამონ ნიხასი", შეიძლება ითქვას, ინტერფრონტებია საქართველოში; ისეთივე, როგორც ბალტიისპირეთში მოქმედი ინტერფრონტები. ისინიც, ბალტიის ქვეყნების ინტერფრონტების მსგავსად, ეროვნული დამოუკიდებლობის დროშას უპირისპირებენ საბჭოურს, ქალაგებენ ყავლგასულ მარქსისტულ-ღვინურ იდეოლოგიას და თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან კრემლს. რა გასაკვირია, ასეთ მოძრაობას მხარს უჭერდეს ზოგიერთი რუსი ინტელიგენტი; ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართველების დადანაშაულებას, მათ გაიგივებას სტალინთან, რათა ქართველებში და არა თავის თავში ეძიონ კომუნისტური პოლიტიკის შედეგად მოტანილი უბედურება, რომელიც ამ საუკუნეში თავს დაატყდა არა მარტო რუს, არამედ სხვა ერებს...

დღეს ანტიქართული განწყობამ რუსეთში კულმინაციას მიაღწია, ხოლო წითელ არმიამ ქართველი ჯარისკაცების ხოცვამ სამწუხარო რეკორდს! ქართველი ერი მცირერიცხოვანია;

მით უფრო მცირერიცხოვანია დასავლეთში ქართული ემიგრაცია, რომელიც რუსული პოლიტიკიდან გამომდინარე ეცნობა საქართველოს ამბებს. ამიტომ შედეგიც სახეზეა... მე მივმართავ ჭეშმარიტ რუს დემოკრატებს: თუ არ მკურნალობთ ჩვენს ეროვნულ სწულელებს, ნულარ გვაყენებთ ზიანს მაინც და თუ ზიანს გვაყენებთ, მაშინ ნულარ გვადანაშაულებთ ანტირუსულ მოქმედებაში, რამეთუ საქართველო ბ-ნი მერაბ მამარდაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, "თავისუფლებისაკენ გასატყორცნად გამიზნულ ისარს დაემსგავსა", მას ვერ შეაჩერებს ვერც რუსული იარაღი, ვერც ინტერფრონტელთა პროვოკაციები და ვერც საზღვარგარეთელ მოძულეთა გესლი და ცილისწამება. დასაწანია მხოლოდ ერთი რამ, რაც ამგვარ მოძულეთა სიაშია ბ-ნი მაქსიმოვი, თავის დროზე ესოდენ ღიდ პატივის რომ ვცემდი.

სუბლიკაცია მოაწვალა ზ. კალაგია



ბ ა მ თ ხ მ ა უ გ ე ბ ა

საბჭოთა არქივების პროლოგი

როგორც იქნა დაღა საბჭოური "პარლამენტარობის" მომხრეთათვის სანატრელი დროც - ჩამოყალიბდა საარჩევნო კომისიები და ე. წ. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატა დასახელებაც დაიწყო.

ყველაფერი გარკვეულია: მთავრობა "საქართველოს პარლამენტის" ავსებას ისევ "მუშათა კლასისა და კომუნისტური გლეხობის ღირსეული წარმომადგენლებით" ცდილობს, რომელნიც მორჩილად დაუკრავენ ტაშს ყოველ ანტიქართულ გადაწყვეტილებას. ჩვენი ლიბერალები კი ამ "პარლამენტის" მეშვეობით აპირებენ საქართველოს განთავისუფლებას. ნეტარ არიან მორწმუნენი, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ჯერ საარჩევნო კომისიების შესახებ. საოლქო კომისიები, რომელიც საქართველოს უზენაეს საბჭოს დაუმტკიცებია, საქართველოს ენციკლოპედიაში "ცხელ წერტილებში", თავისი ეროვნული შემადგენლობით ასე გამოიყურება: ქ. ცხინვალი: № 295 ოლქი, კომისიის ცხრა წევრიდან ყველა ოსია! ოლქი № 296, ცხრა წევრიდან მხოლოდ ორია ქართველი. ცხინვალის რაიონის № 297 ოლქი, კომისიის ათი წევრიდან ექვსი არაქართველია, ჯავის № 298 ოლქი, კომისიის რვა წევრიდან ყველა ოსია, ზნაურის № 299 ოლქი, კომისიის ცხრა წევრიდან ხუთი ოსია.

ახალქალაქის რაიონი: ოლქი № 105, ცამეტი წევრიდან ათი სომეხია, ოლქი № 106, ცამეტი წევრიდან ყველა არაქართველია, ოლქი № 107, ცამეტი წევრიდან შვიდი სომეხია, ოლქი № 108, ცამეტი წევრიდან თორმეტი სომეხია. ბოგლანოვკის რაიონი: ოლქი № 109, თერთმეტი წევრიდან ყველა სომეხია, ოლქი № 110, თერთმეტი წევრიდან ყველა არაქართველია. დმანისის რაიონი: ოლქი № 111, ცამეტი წევრიდან შვიდი არაქართველია. წალკის რაიონი: ოლქი № 113 ათი წევრიდან ყველა არაქართველია, ოლქი № 114, თერთმეტი წევრიდან ყველა არაქართველია. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ქვემო ქართლის სხვა რაიონებსა და აფხაზეთის ასსრ-ში ადგილი წარმოსადგენია, რა სულისკვეთება იქნება გაბატონებული და რა არჩევნებს ჩაატარებენ ამ შემადგენლობის საარჩევნო კომისიები.

ახლა რაც შეეხება დეპუტატობის კანდიდატებს: მართალია, მათი დასახელება ახლახან დაიწყო, მაგრამ უკვე ნათელი ხდება, ვინ აღმოჩნდება "ხალხის რჩეულთა" შორის. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: 7 იანვრის პრესაში გამოქვეყნდა 43 დეპუტატობის კანდიდატის სია (უზენაეს საბჭოში სულ 300 დეპუტატი უნდა იყოს). კანდიდატთა შორის 9 პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერია, 3 კომუნისტური გლეხი, 5 მუშა დანარჩენ კანდიდატთა უმეტესობა კორუმპირებულ აპარატთან "შეკრული" საქმოსანთა წრიდანაა.

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა კვლავ ურყევად იზიარებს ლენინურ ბოღვას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შესახებ და "გარდაქმნის" ეპოქაშიც "აგრესიულად მორჩილი უმრავლესობისაგან" აპირებს საქართველოს უზენაეს საბჭოს ავსებას, თანაც ჯერ სადა ხართ, ეს მხოლოდ საბჭოური არჩევნების პროლოგია.

ლ ა მ თ ხ მ ა უ გ ე ბ ა

იქ, თქვისუფალ საქართველოში?!

გაზეთ "საქართველოში" (№5, 1989წ) გამოქვეყნდა თემურ ქორიძის პოლემიკური წერილი "ჩემი შენ გიხსარიო". ამ წერილს პირობითად თუ ვუწოდებთ პოლემიკურს, რადგან, სინამდვილეში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, პირადად ბ-ნ გიორგი ჯანაშიას წრეგადასულ ლანძღვა-გინებას წარმოადგენს და ძალზე შორს დგას პოლიტიკისა და პარტიოტიზმისაგან, თუმცა ამ ცნებებით მანიპულირებას არაერთხელ ცდილობს ავტორი.

მისი წერილის სათაური მაგიქრებიანებს, რომ ბ-ნი თემურ ქორიძე მე "არამკითხე მოამბის" იარღილს დამაკრავს, რადგან, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნი, ხოლო ჩემი მწერლობა თ. ქორიძეს სასაცილოდაც არ ეყოფა, რადგან მისი ერთი სამიტინგო განცხადებით, ქართველი მწერლები მხოლოდ მთაწმინდაზე განისვენებენ.

მეც, ჩემი მხრივ, შევეცდები იოლად გავიდე, სერიოზულ კამათში არ ჩავება ისეთ გაანჩხლებულ და ნერვებმოშლილ კაცთან, როგორც ამ წერილის მიხედვით ჩანს ბ-ნი თემურ ქორიძე. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ჩემი შენ გიხსარიოს პრინციპს რომ გავყვეთ, ამან შეიძლება კომუნისტური გაზეთების იმ ნომრებთან და იმ სატილევიზო გადაცემებთან მიგვიყვანოს, სადაც თავად ბატონი თემურ ქორიძე ხალხით იძლევა ინტერვიუს, თუ, რასაკვირველია, ოფიციალურ ორგანოებში საამისო სურვილი გამოიჩინეს.

ასე არ ვარგა, ბატონო თემურ, თორემ იმ ყვავის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, სხვა ყვავების სიშავებზე რომ ატეხა განგაში.

ჩემთვის, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეებთან ახლოს მდგომი კაცისთვის, თ. ქორიძისეული წყევლა-კრულვის ნიაღვარში ყველაზე მიუღებელი მაინც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის წაყენებული ერთი ბრალდება გახლავთ.

თუ სწორად გავიგე, თ. ქორიძე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და მის თავგანთავსებას ბრალად სდებს ლამის ეროვნულ ღალატს - ქართველთა წინააღმდეგ აჯანყებულ სხვადასხვა ეთნოსს რატომ თქვენი პარტიის სახელით არ ებრძვიდით. ავტორი აბურღად იგდებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციას - რაც მოჰქანდა ეთნოსის წინააღმდეგ ბრძოლაში არა პარტიის სახელით, არამედ პიროვნულ, ნებაყოფლობით მონაწილეობას მიიჩნევს მისადებად.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეს პოზიცია, მე პირადად, პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობასა და დემოკრატიზმის პრინციპებზე დაფუძნებული მგონია და, აი, რატომ: ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში მოსახლე სხვადასხვა ეთნოსის ამჟამინდელი ბუნტი, ერთი მხრივ, არსებული ბოლშევიკური რეჟიმის პროდუქტი, ხოლო მეორე მხრივ გარედან პროვოცირებული მოვლენაა და ყველაფერი უმაღლეს კალაპოტში ჩადგება, როგორც კი საქართველო თავს დაადევს კოლონიურ რეჟიმს. ვინც ვერ შეეგუება ქართულ სახელმწიფოში ცხოვრებას, თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდება, ხოლო ვინც ჩვენთან ისურვებს დარჩენას, მათ ქართველების თანაბრად განვითარების პირობები უნდა

შექმნას, როგორც ეს ყველა სამართლებრივ, დემოკრატიულ ქვეყანაში არის მიღებული და ქართულ ტრადიციას სჩვევია. ასე რომ, ეს ხალხები ერთიანი საქართველოს შემადგენელ ნაწილებად, მის სრულუფლებიან მოქალაქეებად უნდა იქცენ.

მესმის, რომ ახლა ძნელია ემოციების დაოკება, როცა ყოველი ბურჟუაზიური ბირიდან შეიძლება თოფს გიმიზნებდნენ, როცა თითო ბავშვს აკვანში ჩაგრიკლავენ და უმოქმედო, მარონტული ხელისუფლებისაგან დაუცველს, უიარაღოდ საკუთარ ბოსტანში ვერ გაგივლია, მაგრამ ტერორიზმი და პოლიტიკა ერთმანეთისაგან ძალზე შორს დგანან. არ არსებობს ტერორისტი ერთი, არსებობენ ჩვენი საერთო მტრისაგან მოსყიდული ექსტრემისტთა და ავანტიურისტთა ჯგუფები, რომელნიც იოლად ახდენენ გავლენას თავის თანამემამულეთა ხანგრძლივი კოლონიური მონობით დამახინჯებულ ეროვნულ ფსიქიკასა და პოლიტიკურ ცნობიერებაზე. სამართლიანი აღშფოთებისა და შურისძიების წყურვილია გონება არ უნდა დაგვიზინდოს, იმ ავანტიურისტული ძალების მიღმა უნდა დავინახოთ ოსი, აფხაზი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხები, რომლებსაც ჩვენთან მშვიდობით ცხოვრება სურთ. დადგება სანატრელი დრო და ის ხალხები თავისუფალი საქართველოს პარლამენტში თავის წარმომადგენლებს აირჩევენ, რომელნიც გვერდით უნდა მიუსხდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა (და სხვა პარტიების) დეპუტატებს, მათთან ერთად უნდა გადაწყვიტონ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკითხები. ეჭვი არ არის, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ დემოკრატიისა და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმის პოზიციებიდან მოხდება. და თუ ეს ასე იქნება, მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ - იქ, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს პარლამენტში რამდენად ექნება ჰუმანიტარული და თეოდემოკრატიული იდეებისათვის ბრძოლის უფლება იმ პარტიას, რომელიც კრემლის მიერ მოწყობილ ეთნიკურ ქაოსში ჩვენს მიწაზე საუკუნეთა განმავლობაში მოსახლე ხალხების წინააღმდეგ არა მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს მიმართავდა. მე აქ ხაზს ვუსვამ პოლიტიკურ პარტიებს, თორემ, რაც შეეხება თითოეული ქართველის, როგორც პიროვნების, პატრიოტის და თავისი სამშობლოს ერთიანობის დამცველის მოვალეობას, - სრულიად მისაღებად მიმართა თ. ქორიძის ლოზუნგი (მთელი მიმშობლოს ჭეშმარიტ ჯარისკაცებად ვიქცეთ, აი, რას გვაფლავებს დღეს საქართველო".

პიროვნების პატრიოტულ მოვალეობასა და პარტიის პოლიტიკურ პროგრამას შორის დიდი ზღვარი ძვეს. სწორედ ამ ჭეშმარიტების არად ჩაგდებას გაუტეხა სახელი, პროგრესული კაცობრიობის თვალში რეაქციულ ძალებად აქცია ნაციონალ-სოციალისტური პარტია გერმანიაში და სკკპ რუსეთის იმპერიაში, რომელნიც ერთნაირად ანხორციელებდნენ საკუთარ სახელმწიფოთა ხალხების მიმართ გენოციდსა და დეპორტაციას, ქმნიდნენ რასობრივ და ხალხთა შერწყმულ-შერყვის ანტიადამიანურ თეორიებს. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ყველა

ჩვენგანი, როგორც პიროვნება, დიდაც, საქართველოს ჯარისკაცად უნდა იქცეს და, თუ აუცილებელი იქნება, იარაღსაც მოჰკიდოს ხელი, მაგრამ არა ქართველი ერისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების სახელით, რადგან ბრძოლა, რომელიც დღეს საქართველოს მიწაზე მიმდინარეობს, სრულიად თავისებური მოვლენაა და დიდ პოლიტიკურ სიფხიზლეს მოითხოვს. როგორც ჩანს, ძალზე ძნელი იქნება ე. წ. ეთნოკონფლიქტების ნამდვილი შინაარსის გაგებინება მსოფლიოსათვის. მსოფლიო ადვილად გაიგებს საქართველოს, როგორც კოლონიის ბრძოლას რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ თვით ამ კოლონიაში მიმდინარე ბრძოლის არსი, ეტყობა, არაქართველთათვის ბუნდოვანია (აკი ეს თვით ანდრეი სახაროვიც ვერ გაიგო!). ამ ბრძოლაში საქართველოს პოლიტიკური ძალების სახელი არ უნდა შეიზღუდოს, რასაც, სხვათა შორის, დაბეჯითებით ესწრაფვიან "ეთნოკონფლიქტების" ორგანიზატორები, ამას მოითხოვს ჩვენი სამშობლოს მომავალი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც უნდა აშენდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

დღევანდელი "ეთნოკონფლიქტები" შესაძლოა, მართლაც უმძიმესი ომი იყოს ჩვენი სამშობლოს მთლიანობის შესანარჩუნებლად და ვინც ჯარისკაცად ვიქცევით, უფლება გვქონება ყველა ჯარისკაცური საშუალებით ვიბრძოლოთ გამარჯვების მისაღწევად, მაგრამ ვინც პოლიტიკოსად რჩება, მას მოვლენების ცივი გონებით განსჯა, სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა სჭირდება. ემოციები პოლიტიკაში მხოლოდ დამარცხებას გვიქადის.

... ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიოგრაფია 1912 წლიდან იწყება, იგი ილია ჭავჭავაძის ანდერძის ერთ-ერთი მიმდევარი იყო და იმ პერიოდში საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერთადერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. მისი შემადგენლობაც უაღრესად მაღალინტელექტუალური იყო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრები იყვნენ ქართული მწერლობისა და მეცნიერების სახელოვანი წარმომადგენლები, ეროვნულ-დემოკრატიული პრინციპულად ებრძოდნენ მარქსისტულ ლოგებს, "სოციალისტურ ბოღვას" უწოდებდნენ სოციალ-დემოკრატთა კოსმოპოლიტურ იდეებს და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ლოზუნგით გამოდიოდნენ. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ღირსებით ატარა თავისი იდეალები როგორც თავისუფალ საქართველოში, ასევე ემიგრაციის მიმე და ხანგრძლივ წლებში და ახლაც, ხელახალი აღორძინების ყამს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სრულიად სამართლიანად უფრთხილდება თავის ბიოგრაფიას და ცდილობს ახალ პირობებში განავითაროს ეროვნულ-დემოკრატიული ძველი ტრადიციები.

ასე რომ, რეალურად არსებული პოლიტიკური პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის შეჩვენება-დამუნათება საკუთარი პროგრამული პრინციპების დაცვისათვის, არა მგონია, ჯანსაღი პოლიტიკური აზროვნებით იყოს ნაკარნახევი, და, ვგონებ, ზნეობრივი თვალსაზრისითაც მოიკოჭლებს.

# საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პოტენციით

1990 წლის 5 იანვარს, თბილისში, მთავრობის სახლის წინ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მარტლის საზოგადოებისა და მონარქისტთა პარტიის ინიციატივით დაიწყო აქცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგით.

6 იანვარს აქციას შეუერთდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები. ამავე დღეს სკკპ ცკ პოლიტიბიუროს მისამართით აქციის მონაწილეთა მიერ გაიგზავნა დეპეშა. ვაქციელები დეპეშის სრულ ტექსტს:



სკკპ ცკ პოლიტიბიუროს  
საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან  
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვაცხადებთ: 1990 წლის 5 იანვარს საქართველოში დაიწყო აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

ვინაიდან საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ყველა პროვოკაციის, მათ შორის, ეთნოკონფლიქტების ინსპირატორი არის კრემლი;

ვინაიდან ადგილობრივი მართონეტული მთავრობა უძღურია რამე გადაწყვიტოს; ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლება არის არამართო უკანონო, არამედ ფიქტიური;

ვინაიდან კრემლის ხელისუფლება უკანონოა, მაგრამ რეალური,

მ თ ვ ი თ ხ ო ვ ი თ :

1. სკკპ ცკ პოლიტიბიუროს წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ ჩამოსვლას თბილისში მოლაპარაკებების საწარმოებლად იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, რომლებიც დღემდე არ არიან აღიარებულნი კრემლის მიერ, როგორც ჩვენი ერის, მთელი საქართველოს ნების ჭეშმარიტი გამომხატველნი;

2. მოეწყოს ტელევიზიით ამ მოლაპარაკებების ტრანსლაცია. მოლაპარაკებების შედეგები გაუქველ იქნას ოფიციალურ პრესაში.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აქცია მიმართავს უკიდურეს პოლიტიკურ (მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან) ფორმებს, რათა მთელ მსოფლიოს წარმოუჩინოს ამ ბოროტების იმპერიის ჭეშმარიტი არსი, მისი დამოკიდებულება ქართველი ერის მიმართ, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით მოითხოვს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ღმერთი არს ჩვენთან!

გოლომდე ვიგრაძობთ თავისუფლებასა თვის, სიმაჟლიასა თვის, იმისათვის, რაც ჩვენ უმალა მოგვანიჭა და კოხუნისტური რეჟიმის სატანურმა ძალამ ხელიდან გამოგვკლავს!

6 იანვარი, 1990 წ.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია: თორნიკე შინგია, ირაკლი წარბაქიანი;  
მონარქისტული პარტია: თეიმურაზ შორაშორიანი, გიორგი ხონელიანი;

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია: გიორგი ჰანტაურია, ირინა სარიშვილი, ვანო ხუბუანიშვილი;

საქართველოს დემოკრატიული პარტია: ვაჟა მთავრიშვილი, გიორგი ზუგუაძე;  
ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი: ირაკლი კაკაბაძე, შალვა ვასაძე;

მიტინგზე შეუერთდა ეროვნული ღირსების ჯგუფი: გიორგი კორძაძე, თინათინ ღიბანიანი



8 იანვარს გამოცხადდა შიმშილობა, რომელშიც ჩაერთვნენ მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაციების წევრები.

9 იანვარს დაიწყო გაფიცვები. თბილისში გაიფიცა თითქმის ყველა საწარმო მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების ყველა საწარმო. მთლიანად გაიფიცა ტრანსპორტი.

10 იანვარს ხალხმა ჩამოაგდო ძერჟინსკის, კამოსა და ბორის ძნელაძის ძეგლები.

12 იანვარს მიტინგზე მიღებულ იქნა მიმართვა ბალტიისპირელი ხალხების მისამართით:

თავისუფლებასათვის მიგრაძობ  
მსტონელ, ლიტვილ და ლატვიელ ხალხებს!

ჩვენ, რუსთაველის პრესბუქტზე მთავრობის სახლთან მიმდინარე აქციის მონაწილენი, რომელნიც მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, მოგესალმებით თქვენ და გისურვებთ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ ბრძოლაში ჩვენ გვწამს, რომ ლიტვიელი, ლატვიელი, ესტონელი და ქართველი ხალხები მალე მიაღწევენ თავისუფლებას და აღადგენენ სახელმწიფოებრიობას.

ღმერთი შეეწიოს ჩვენს ერებს!  
გვიგულეთ თქვენს გვერდით!

1990 წლის 12 იანვრის მიტინგის მონაწილენი (დაახლოებით 20 000 ადამიანი).

ამავე დღეს, ბალტიისპირელი ხალხებისადმი სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თბილისის ყველა ტაძარმა საღამოს შვიდ საათზე ჩამოჰკრა ზარები.

14 იანვარს, დღის მეორე ნახევარში, აქციის ორგანიზატორთა მოთხოვნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებმა ღრობით შეწყვიტეს გაფიცვა. ამავე დღეს მოშიმშილეთა პირველი ჯგუფი შეცვალა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მეორე ჯგუფმა.

ამიერკავკასიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, 1990 წლის 20 იანვარს აქცია ღრობით შეწყდა.

„ქართული ქრონიკის“ პორიბი -59-ე  
ნოეპი პოლიანელ დათოოგა ახეკაი-  
ხანსა და სოგხათოი მიგლინაკა მოვლა-  
ნეოს აესახველ აესალეს.

მთავარი რედაქტორი ირინა სარიშვილი  
სარედაქციო კოლეგია: შინგია იაკობიშვილი, ელგუჯა მარტია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად ძალარიანი, გიორგი ჰანტაურია, შუკო ჯიქია (პრესცენტრის პასუხისმგებელი მდივანი).  
ტელ.: 36-03-48, 41-19-65.